კითხვები განათლების სამინისტროსთან

(სატელეფონო შეთანმების შემდეგ გაეგზავნა მინისტრ მარგველაშვილის ასისტენტს, ქეთევან ჩიხრაძეს, 2013 წლის 6 ივნისს)

1. როგორ იქნა დათვლილი გამომცემლობების კომპენსაციისთვის განსაზღვრული 1 მლნ. ლარი?

2. როგორ გადანაწილდება კომპენსაციისთვის გამოყოფილი თანხა 17 გამომცემელსა და 300-მდე ავტორზე?

7. შეგიძლიათ თუ არა, მოგვაწოდოთ სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგების პროექტის ზუსტი ხარჯთაღრიცხვა? (სტამბის, დისტრიბუციის, უცხო ენის სახელმძღვანელოების, უმცირესობების ენებზე დაბეჭდილი სახელმძღვანელოებისა და სხვა ხარჯები)

4. სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგების რა მოდელები იქნა განხილული, სანამ ამ ვარიანტს აირჩევდით?

3. იყვნენ თუ არა გამომცემლობები ინფორმირებული მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ?

5. შეგიძლიათ თუ არა მოგვაწოდოთ თქვენ მიერ წარმოებული ფასთა მოკვლევის შედეგები?

6. გამომცემლობები, რომლებიც ამავე დროს სტამბასაც ფლობენ, აცხადებენ, რომ სტამბების შერჩევის პროცესში ისინი არ ყოფილან ჩართული, რატომ მოხდა ასე?

8. რა სტრატეგია არსებობს გამომცემლებს შორის კონკურენტული გარემოს შესანარჩუნებლად?

9. როგორია სამინისტროს სტრატეგია ეროვნული უმცირესობებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით?

10. რა შეთანხმება დაიდო ინგლისური ენის სახელმძღვანელოების მომწოდებელ “მაკმილანის” გამომცემლობასთან?

11. რა სახელმძღვანელოთი იგეგმება ინგლისურის გარდა სხვა უცხო ენების სწავლება სკოლებში (მაგალითად, ფრანგულის), ვინაიდან ახლა არ არის არცერთი გრიფირებული სახელმძღვანელო მათ სასწავლებლად?

12.სამინისტროს პოლიტიკის მიხედვით, როგორი იქნება გამომცემლობების როლი და ჩართულობა სახელმძღვანელოების შექმნის პროცესში? ვინ იქნება პასუხისმგებელი სახელმძღვანელოების განახლებაზე და არჩევანის მრავალფეროვნების შენარჩუნებაზე?